

ინსტრუქციები ავტორებისთვის

ორგანიზაციის ჟურნალის შინაარსი

არასამთავრობო ორგანიზაცია ესტონეთის სოციალურ მცნიერებათა საერთაშორისო აკადემია აქვეყნებს ოთხ ჟურნალს, სხვადასხვა თემებზე. თითოეულ ჟურნალს გამომცემელი უშვებს წელიწადში 4-ჯერ. ამ ჟურნალებიდან ერთ-ერთია Gulustan Black Sea Scientific Journal of Academic Research (აკადემიური კვლევების გულუსტანის შავი ზღვის სამეცნიერო ჟურნალი), რომელიც აქვეყნებს სრულ ორიგინალურ კვლევით სტატიებს და ზოგიერთ მიმოხილვებს ინგლისურ ენაზე, მიღწევების შესახებ, აგრონომიის, სოფლის მეურნეობის, მემცენარეობის, მცენარეთა დაცვის, მცენარეთა მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოტექნოლოგიების, ნიადაგთმცოდნეობის და მცენარეთა კვების, ბიოენერჯეტიკის და ენერჯეტიკული კულტურების, ირიგაციის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების და ტექნოლოგიის, მეტყვეობის და სატყეო ინდუსტრიის პროდუქტების სფეროებში. მიმოხილვითი სტატიები მიიღება მხოლოდ სარედაქციო საბჭოს მოწვევის შემთხვევაში და მაინც, დაექვემდებარება რევიზიის იმავე პროცესს, რომელიც საჭიროა ჩვეულებრივ წარდგენილი სტატიებისთვის. ხელნაწერებს საფუძვლად უნდა ედოს ორიგინალური კვლევები და უნდა შეიცავდეს საერთო მნიშვნელობის ახალ დასკვნებს. კვლევები, რომლებიც 1) მხოლოდ ადასტურებს ცნობილ ფაქტებს, სხვა ჯიშებზე ან მასალებზე ან შეგროვილ მასალებზე, მინდვრებიდან ან ბაზრებიდან; 2) წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივ ინტერესს; 3) ეყრდნობა გამოკითხვებს, მასალების შეგროვებას ან ეკონომიკურ მონაცემებს ან/და დაკავშირებულია დაგეგმვასთან და პოლიტიკასთან; ან 4) წარმოადგენს ახალ ჩანაწერებს ან ტაქსონომიას, სცილდება ჟურნალის ინტერესების სფეროს და, როგორც წესი, არ განიხილება გამოქვეყნებისთვის.

წარდგენის პროცესი

ყველა ხელნაწერის წარდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად, ინტერნეტით, Gulustan-bssjar მეშვეობით, ვებსაიტზე: www.sc-media.org

თქვენ უნდა გამოგზავნოთ ფაილები ელ-ფოსტაზე: gulustanbssjar@gmail.com ან sc.mediagroup2017@gmail.com

არ არის გადასახადი გვერდების მიხედვით, სტატიები მიიღება გამოსაქვეყნებლად იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ისინი არ გამოქვეყნებულა და არ განიხილება გამოსაქვეყნებლად, რომელიმე სხვა გამოცემის მიერ. ავტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ხელნაწერი, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია სხვა ჟურნალში. შესაბამისმა ავტორმა ხელი უნდა მოაწეროს საავტორო უფლების გადაცემის ფორმას, რომელიც მოცემულია მისამართზე: <http://sc-media.org/for-authors/preparation-of-manuscript/>, word და pdf ფორმატში, ყველა ავტორის სახელით და ის თან უნდა ახლდეს ყველა წარმოდგენილ სტატიას. იხ. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული დამატებითი დეტალური ინფორმაცია.

ხელნაწერები შეიძლება უარყოფილ იქნას კოლეგების მხრიდან გადასინჯვის გარეშე, მთავარი რედაქტორის მიერ, თუ ისინი არ შეესაბამება ავტორის ინსტრუქციებს ან თუ სცილდება ჟურნალის ინტერესის სფეროს.

გამოსაქვეყნებლად ხელნაწერის მიღების შემდეგ ე.ი. მას შემდეგ, რაც დასრულდება რეკომენდებული შემოწმებები, ავტორს აღარ ექნება უფლება შეიტანოს ცვლილებები, რომლებიც წარმოადგენს რედაქტორის მიერ მიღებული ხელნაწერიდან გადახვევას.

გამოპქვეყნებამდე ავტორებს ყოველთვის უგზავნიან ანაბეჭდს, კორექტურისთვის. შეცდომები ან გამოტოვებული ასოები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვენის მხრიდან, საბოლოო ბეჭდვისას, გასწორდება შეცდომების სექციაში, შემდეგ გამოშვებაში. ეს არ შეეხება იმ შეცდომებს, რომლებიც გამორჩება ავტორს კორექტურის დროს. სხვისი იდეების ან სიტყვების გამოყენება, ორიგინალური ან ოდნავ შეცვლილი ფორმით, სათანადოდ მითითების გარეშე, განიხილება, როგორც პლაგიატი და არ დაიშვება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მითითება არის, მაგრამ სხვა ავტორის ნაშრომიდან პირდაპირ ამოღებული სიტყვები არ იქნება ჩასმული ბრჭყალებში, ავტორს მაინც დაბრალდება პლაგიატობა.

ხელნაწერის მომზადება

სტილი და ფორმატი: არსებობს სტატიის შაბლონი ერთ ენაზე. <http://sc-media.org/for-authors/preparation-of-manuscript/> ინგლისურად. ხელნაწერის ყველა ეგზემპლარის გვერდები დანომრული უნდა იყოს, ერთიდან, თანმიმდევრულად, ყოველ გვერდზე. ავტორებს, რომლებისთვისაც ინგლისური არ არის მშობლიური ენა, დაბეჯითებით ვურჩევთ, რომ მათი ნაშრომების რედაქტირება მოახდინონ ინგლისური ენის კარგად მცოდნე კოლეგებმა ან პროფესიონალმა რედაქტორმა.

უნდა გამოიყენებოდეს ენა ჟარგონის გარეშე. თავი უნდა აარიდოთ გრძელი წინადადებების და ვნებითი გვარის მრავალჯერად გამოყენებას. დაბეჯითებით გიწევთ რეკომენდაციას, რომ ტექსტი დაამუშაოთ მართლწერის და გრამატიკის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამებით. მისაღება როგორც ბრიტანული, ასევე ამერიკული მართლწერა, მაგრამ ის მტელს ტექსტში, თანმიმდევრულად უნდა იქნას გამოყენებული.